



## ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება N044-10

ადვოკატმა ე.ბ.-მ გააფორმა ხელშეკრულება თავის კლიენტთან რ.მ.-სთან იმ მიზნით, რომ რ.მ.-ს დავალებით შეხვედროდა მსჯავრდებულ გ.მ.-ს. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე გამოიწერა ორდერი ე.ბ.-ს სახელზე. ადვოკატი ე.ბ. ორჯერ შეხვდა მსჯავრდებულს და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში. ადვოკატმა ე.ბ.-მ არ შეატყობინა ადვოკატ მ.ნ.-ს მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან, გ.მ.-სთან შეხვედრის შესახებ.

2010 წლის 2 ივლისს ადვოკატმა მ.ნ.-მ საჩივრით მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ე.ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია კოლეგიალობისა და კლიენტთან ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები; საპროცესო კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატის მიერ ჩადენილ იქნა დისციპლინური გადაცდომა. კერძოდ, მან დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობისა და კოლეგიალობის პრინციპები.

რამდენად არსებობს საჩივრის ავტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები და საფუძვლები?

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ იმსჯელა და დაადგინა, რომ ადვოკატ ე.ბ.-ს მიერ ჩადენილ იქნა დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები და საფუძვლები სახეზეა.

შესაძლებელია თუ არა, რომ ადვოკატ ე.ბ.-ს მიერ დარღვეული იყოს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი? ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილი). ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირად თუ სხვა ინტერესებზე მაღლა. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი)

განხილვის კოლეგიის აზრით, კონკრეტული პირის მიერ ადვოკატის სახელზე ორდერის გამოწერა წარმოშობს ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას, რაც გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვასა და იმ ვალდებულებების შესრულებას, რაც განსაზღვრულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით და შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით. განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატის სახელზე ორდერის გამოწერა უნდა განხორციელდეს ორდერის საფუძველზე განსაზღვრული პირის ინტერესების დასაცავად და არა სხვა პირის, თუნდაც ის ადვოკატის კლიენტი იყოს, დავალების შესასრულებლად. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ ე.ბ.-ს სახელზე გამოწერილი ორდერი მიზნად ისახავდა იმ საჭირო ინფორმაციის მიღებას, რომელიც დაეხმარებოდა რ.მ.-ს (ადვოკატ ე.ბ.-ს კლიენტი) მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანაში. განხილვის კოლეგია თვლის, რომ აღნიშნული ქმედებით ადვოკატმა ე.ბ.-მ კლიენტის ინტერესებზე მაღლა დააყენა სხვა პირის (სხვა კლიენტის) ინტერესები, რაც არ შეესაბამება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებს.

ადვოკატ ე.ბ.-ს მიერ დარღვეულ იქნა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი, რადგან მან თავის სახელზე გამოწერილი ორდერი გამოიყენა საკუთარი მიზნებისთვის.

ადვოკატ ე.ბ.-ს მიერ არ არის დარღვეული კოლეგიალობის პრინციპი. ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი)

ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით (ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის 1-ელი ნაწილი).



ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება. დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება (ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლი).

განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ კონფიდენციალობის პრინციპის თანახმად, ადვოკატმა არ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის შესრულებისას. კონფიდენციალური ინფორმაცია მოიცავს მათ შორის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ადვოკატს გაუფორმეს ხელშეკრულება კონკრეტული კლიენტის დაცვის მიზნით, თუ თავად კლიენტი არ გადაწყვეტს, საჯარო გახადოს აღნიშნული საკითხი. კონკრეტულ შემთხვევაში, თვითონ დაცვის განხორციელება დაიწყო კანონის და პროფესიული ქცევის ნორმების დარღვევით, შესაბამისად, განხილვის კოლეგია მოკლებულია საშუალებას, იმსჯელოს, გაიცა თუ არა კლიენტის მიერ ნებართვა ადვოკატ ე.ბ.-ს განეცხადებინა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობიდან გამომდინარე კონფიდენციალური ინფორმაცია მესამე პირებისთვის, მათ შორის ადვოკატ მ.ნ.-სთვის; თუმცა, განხილვის კოლეგიის აზრით, კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება ყოველთვის უპირატესია ადვოკატებს შორის ურთიერთთანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებებზე.

ადვოკატ ე.ბ.-ს მიერ დარღვეულად ვერ ჩაითვლება კოლეგიალობის პრინციპი, რადგან იგი მოქმედებდა ამ შემთხვევაში კონფიდენციალობის პრინციპის ფარგლებში, რომელიც უპირატესია პროფესიულ პრინციპებზე.

ადვოკატ ე.ბ.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათის მიცემა.